570
1979

ISSN 0132-6848

1979 ნოემბერი N11

ფილოსოფია

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

ბრძანებულება

საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის, ახალგაზრდობის აღზრდის მიზნით ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდეს **საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი.
1979 წლის 22 ოქტომბერი.

ლენინური კომკავშირი

ალიო მირცხულava

კომკავშირი! შევარდენთა სანავარდო,
განთიადი, მოღაჟღაჟე ვარდისფერად,
მზის ბაღნარი სავარდო და სამაისო,
სიხარული, სიყვარული და სიმღერა!
კომკავშირი! მარად მხნე და ახალგაზრდა,
ბრძოლით განვლეთ გზა მიზნისკენ დასახული,
კიდევ უფრო გაღამაზდა, გასხივოსნდა,
გაიფურჩქნა ჩვენი ქვეყნის გაბაფთული!

აგებს ქარხნებს, ღუმელებში აწრთობს ფოლადს,
დასტრიალებს ახალ სახლებს თუ ხარაჩოს,
ცაში დაჭრის, უხარია მზისკენ სრბოლაც,
საზღვარზე დგას, რომ მშვიდობას უდარაჯოს!
ებრძვის გვაღვას და უდაბნოც მისგან იხსნა,
გასტეხს ყამირს,— ოქროს ბაღნარს დაადარებს,
და ორდენებს, ბრძოლისა და შრომის ნიშნად,
ამაყ მკერდზე ვარსკვლავებად დაატარებს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლენინის ორდენი

ლენინის ორდენი ჩვენს დიად ქვეყანაში ყველაზე საპატიო და საამაყო, უპირველესი ჯილდოა! ლენინის ორდენით ჯილდოვდება რესპუბლიკა თუ ქალაქი, ორგანიზაცია თუ პიროვნება. ამ ჯილდოს იღებენ საბჭოთა სამშობლოსა და კომუნისტური პარტიის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, ჭეშმარიტი გმირობისათვის.

და აი, „დილის“ ასიათასობით ნორჩ მკითხველს სიხარულით ვაუწყებთ, რომ ამ დღეებში ლენინის ორდენით დაჯილდოვდა საქართველოს კომკავშირი, საქართველოს ახალგაზრდობა. დიდია და განუზომელი ამ ამბით მოგვრილი სიხარული თუ სიამაყე. ეს ჯილდო თანაბრად ეკუთვნის ყველას— თქვენს დიდ პაპებს და ბებიებს, მშობლებს, უფროს დებსა და ძმებს. მათ ხომ გმირული, სასახელო გზა გაიარეს, გაუძლეს ათას გაჭირვებას, ომსა და ქარცეცხლს, სძლიეს ყოველ დაბრკოლებას და გამარჯვებულნი მოვიდნენ ამ დღემდე.

ჩვენი კომკავშირი, რომლის დამაარსებელია ლეგენდარული ბორის ძნელაძე, იბრძოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, იდგა პირველი ხუთწლედების ხარაჩოებზე. მერე იყო და, ფაშისტური გერმანია დაგვესხა თავს, დიდი სამამულო, სამკვდრო-სასიცოცხლო ომის წინა ხაზზე კომუნისტების გვერდით დადგნენ კომკავშირელებიც. ომში გამარჯვების შემდეგ—არანაკლებ თავდადებას ითხოვდა ყამირი მიწების ათვისება, საქართველოს კომკავშირი აქაც მოწინავეთა შორის იყო. დღეს კი ენგურჰესის თუ ჟინვალჰესის მშენებელია, აგებს ქარხნებსა და ფაბრიკებს, გაჰყავს ახალი გზები და არხები, თავდადებით შრომობს საკოლმეურნეო მინდვრებზე. იბრძვის თქვენი მშვიდი ცხოვრებისათვის.

და, აი, ყოველივე ამისათვის საქართველოს კომკავშირი დაჯილდოვდა ლენინის ორდენით.

ჟურნალ „დილის“ რედაქცია, სარედაქციო კოლეგია, თქვენი სახელით, ულოცავს საქართველოს ახალგაზრდობას ამ საპატიო ჯილდოს.

თქვენც შეგიძლიათ მიულოცოთ—თქვენს ბებიებსა და პაპებს, მშობლებს, უფროს დებსა და ძმებს, მათ ხომ ლენინის ორდენი დაიმსახურეს, ჩვენი დიადი ქვეყნის ყველაზე საპატიო და საამაყო, უპირველესი ჯილდო!

ქ. ფაღავის სახ. საჯ.
სკ. ბიბლიოთეკა
ინ. ... ...
ბ. ... ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვეფხი ჯიჯა

ისინი იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

იუდენიჩის ჯარები წითელ პიტერს უტევდნენ. თეთრი გენერალი გაცოფებული იყო. მთელ ფრონტზე ვერა და ვერ წაიწია წინ. წითლები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ.

მემიზნე ზარბაზნის სასხლეტს ჩაჰფრენოდა და მაღლობიდან შუბლშეკრული გასცქეროდა თეთრების პოზიციას. იგი მზად იყო ბრძოლისათვის. მეზარბაზნე ჯარისკაცებიდან მარტო თვითონ გადარჩა ცოცხალი. ის ოხერი, — თეთრების სნაიპერი შორიდან არ უსვენებს: ტყვია ხან ყურისძირში გაუწოვლებს, ხან—თავსზემოთ ბუზანკალივით გადაუზუზუნებს.

ჯანდაბას მისი თავი! ნეტავი პეტკა ცოცხალი ჰყოლოდა, ჭურვების მოსატანად წავიდა და აღარ დაბრუნებულა, მტრის ტყვია ალბათ იმასაც მისწვდა.

მემიზნეს თვალები ცრემლით ევსება

ოქტომბერში სმოლნი რომ აიღეს, მოიერიშეთა შორის ის და პეტიაც იყვნენ. პეტროგრადში ერთად იზეიმეს საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება. ტრიბუნაზე შემდგარ ლენინს მოუსმინეს და ქუდების ცაში სროლით მიესალმნენ რევოლუციის დიდ ბელადს.

მემიზნეს ორად ორი ცალი ჭურვი დარჩა.

თეთრების კავალერია კი უკვე იერიშზე გადმოვიდა. ის კარგად ხედავს მზის სხივებზე აელვარებულ ხმლებს და გაწაფულ ცხენებს.

— ცეცხლი! — გაისმა სადღაც სანგრებში და აკაკანდნენ წითლების ტყვიამფრქვევები, ატკაცუნდნენ შაშხანები.

იქუხა ზარბაზანმა.

ჭურვი მტრის რიგებში აფეთქდა. ცხენები ყალყზე შედგნენ და რამდენიმე მხედარი ჭიწაზე გაგორდა.

მემიზნემ მეორე ჭურვიც შეაგება იერიშზე გადმოსულთ და დადუმდა ზარბაზანი, ისინი კი მოდიან და მოდიან.

— ჭურვი, ჭურვი! — ღრიალებს მემიზნე და ჯავრისაგან ლამის დაიხრჩოს, თვალებს გიჟივით აცეცებს.

— აბა, ჭურვი, ძია! — მოესმა მემიზნეს.

მოიხედა, გვერდით პატარა, ცხრა-ათი წლის ბიჭი იდგა, ბუდიონური ქუდიდან შავი, ხუჭუჭა ქოჩორი გამოსჩეჩოდა, ჭურვს აწვდიდა.

— საიდან გაჩნდა ეს ბიჭი? — გაიფიქრა მემიზნემ და ყმაწვილს ჭურვი გამოსტაცა.

ბიჭი სადღაც გაქრა.

მესამე ჭურვიც მოხვდა მიზანში.

იუდენიჩის კავალერისტები ყირა-ყირა გადადიან.

კმაყოფილი მემიზნე უკან იხედება. ბიჭი მახლობელ ორმოდან ამოძვრა და თან ჭურვი ამოიტანა.

— ყოჩაღ, ბიჭო!

წითლების გრიგალისებურმა ცეცხლმა მტრის კავალერია შეაჩერა.

— ვაშა! — მოისმის სანგრებში. პეტროგრადის დამცველები კონტრიერიშზე გადადიან. თეთრები გარბიან.

მემიზნემ ერთხელაც დაქუხა ზარბაზანი, მერე თავიდან კოკარდიანი ქუდი მოიხადა, იმითვე მოიწმინდა გაოფლილი სახე და ჭურვის ცარიელ ყუთზე ჩამოჯდა.

— ძია, შენ არ მიდიხარ, იერიშზე? —

— რით, ზარბაზნით? — გაიცინა მემიზნემ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ისინიც ეყოფიან. შენ ეგ მითხარი, საიდან გაჩნდი აქ, ციდან ჩამოფრინდი თუ მიწიდან ამოძვერი?

ბიჭმა სანგრებისკენ გაიშვირა ხელი:

— იქიდან მოვედი. ზარბაზნის ხმა გავიგონე და მინდოდა მენახა, როგორ ისროდნენ.

— იქ რანაირადღა გაჩნდი?

— მამა პეტროგრადის მუშათა კლუბში მუშაობს, არტისტია და გამოვყევი.

მემიზნემ ვერ გაიგო.

— რაო, არტილერისტიო?

— არა,—გაეღიმა ბიჭს,—მამა არტისტია, მსახიობია, არ გაგიგია? დედაც მსახიობია. ჯარისკაცებისთვის კონცერტი უნდა გავმართოთ.

— შენცა?—ვერ დამალა გაოცება მემიზნემ.

— დიახ, მეც. ლექსებს წავიკითხავ. ბურჟუას გავაჯავრებ.

— როგორ გააჯავრებ ბურჟუას, ვერ მეტყვი?

— თავზე შავ ქვაბურა ქუდს დავიხურავ, ხალათქვეშ რამეს ამოვიჭყუნავ, რომ ღიპი მქონდეს, პირში სტაფილოს გავირჭობ,—ბიჭმა მუცელი წინ გამოაგდო, სახე დამანჭა და გაიარ-გამოიარა.

— კაი სანახავი იქნები,—ახარხარდა მემიზნე, ის თვალს არ აცილებდა პატარა არტისტს.

— სადაური ხარ?

— ქართველი ვარ, მესხეთიდან!

— მესხეთიდან?

— საქართველოს სამხრეთით მდებარეობს, მამამ თქვა, იუდენიჩს რომ გავანადგურებთ, საქართველოში წაგიყვანო.

— ბარემ შენი სახელიც მითხარი!

— კოტე მქვია!

— ყოჩაღი ბიჭი ყოფილხარ, კოტე, უშიშარი, ახლა მამასთან გაიქეცი, აქ ბრძოლაა და ვინ იცის, რა მოხდეს.

— შენ?

— მე აქ დავრჩები, ზარბაზანს თავს ვერ დავანებებ!

— ვაშაა!—უკვე შორიდან მოისმის იერიშზე გადასული წითლების ხმა.

კოტე სანგრებისაკენ გაიქცა.

იმ საღამოს პეტროგრადიდან მოსულმა მსახიობებმა მართლა დიდი კონცერტი გამართეს. პატარა არტისტმა რევოლუციური ლექსებიც თქვა და ბურჟუასაც გამოაჯავრა. მებრძოლები დიდხანს უკრავდნენ ტაშს.

იუდენიჩის ჯარები განადგურდა, მაგრამ პეტროგრადში საბჭოთა ხელისუფლების ბევრი დაუძინებელი მტერი იმალებოდა, ისინი სიკვდილით ემუქრებოდნენ მუშებს, ჯარისკაცებს, კომუნისტებსა და კომკავშირლებს. მუქარის წერილი კოტე მღებრიშვილმაც მიიღო.

— ვერ შემაშინებთ,—თქვა კოტემ და ჯარისკაცთა კლუბში კიდევ უფრო რიხიანად, მგზნებარედ წაიკითხა რევოლუციური ლექსები.

ერთხელ, გვიან ღამით, კოტე შინ ბრუნდებოდა. სახლი პეტროგრადის გარეუბანში ჰქონდათ. ტრამვაიში რომ ჯდებოდა, ორი უცნობი კაცი აედევნა. კოტეს არ შეუნიშნია, საქართველოზე ოცნებობდა, ორი კვირის მერე ის, დედა და მამა მესხეთს უნდა სტუმრებოდნენ.

ტრამვაი მიჰქრის. მგზავრები მძიმე-მძიმედ გაიკრიფნენ ვაგონიდან. მარტო ის ორი უცნობი და კოტე დარჩნენ.

მალე კოტეს გაჩერებაც იქნება. ბიჭი ადგა, კართან მივიდა, იმის ნაცვლად, რომ ტრამვაიმ სიჩქარეს მოუკლოს, უფრო უმატებს. კოტეს გაჩერება უკან დარჩა, უკვირს ბიჭს, უნდა ვატმანი გააფრთხილოს, მაგრამ სიტყვა პირზე აფარებულმა ხელმა ჩაუხშო, მერე ვიღაცამ ბუმბულივით აიტაცა და ღია კარში ისროლა. ყმაწვილის ყვირილი ტრამვაის ბორბლების ხმაურმა დაფარა.

მეორე დღეს მთელი პეტროგრადი დასტიროდა პატარა რევოლუციონერს. კოტე მღებრიშვილი მარსის მინდორზე საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადებულთა საძმო სასაფლაოზე დაკრძალეს. გამოსათხოვრად მოსულ, ქუდმოხდილ ჯარისკაცთა შორის თვალცრემლიანი მემიზნეც იყო, მას მინდვრის ყვავილების დიდი თაიგული მოეტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუშა სანიკიძე

ოქტომბრელების საზეიმო სიმღერა

ოქტომბრის სხივი გვიცინის,
მოჰქრის ოქტომბრის ქარი,
პირზე ვარდები გვაყრია
და მზის სხივების ჯარი.
მოგვაქვს, დროშების ტყე
მოგვაქვს,
ელავს ყაყაჩოს ფერი,
პატარა ოქტომბრელები
დიდ ოქტომბერზე ვმღერით.
მოგვაქვს გამთბარი გულები,
ზრუნვით, აღერსით სავსე,
ვისწავლით მხოლოდ ხუთებზე,
მამულს სჯირდება ასე.

ილია არსია

ნოემბრის განთიადი

ფიქრების და მოლოდინის
წუთი მექცა წელიწადად,
მე ამ დღეზე სანეტარო,
საოცნებო ფიქრი მწვავდა.
ია-ვარდად აიფურცლა
კიდევ ერთი ღამის სუნთქვა,
რა მელირსა, რა სიამე,
რა ოცნება ამისრულდა!
უკვე ჩაქრა რახანია
ნორჩი გულის სადარდელი;
გაგვითენდა ნოემბერი,
საოცნებო, სანატრელი.
ახმიანებს არემარეს
სიმღერების ხმა—დიადი.
არც ყოფილა უფრო კარგი,
უფრო დიდი განთიადი!

ნახატ. ედუარდ ამბოკაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვიშა

შალვა შარაშიძე

ნახატი თამაზ ხუციშვილისა

ზურიკომ და ლევანმა უბანში ქვიშის გროვას მიაგნეს. გაუხარდათ, ზედ ჭიდაობა გამართეს, გული რომ იჯერეს, ქვიშა ზოგი გზაზე გადაყარეს, ზოგიც—იქვე არხში ჩაუძახეს და წყალს გაატანეს.

ის იყო უნდა წასულიყვნენ, რომ ნიკა პაპა წამოადგათ თავზე.

— აი, თქვე ონავრებო, ეს რა გიქნიათ, ძლივს ამოვიტანე ალაზნიდან ურმით, როგორ დაუფანტიათ, მე თქვენ გიჩვენებთ სეირს!—ნიკა პაპამ იქვე დაგდებულ ჯოხს ხელი წამოავლო, მაგრამ რას დაეწეოდა კისრისტეხით გაქცეულ ბიჭებს.

მზე რომ გადაიხარა, ბიჭები ძია დათას მიადგნენ, სატვირთო ავტომანქანის მძღოლს, ძია დათა აივანზე გადმოდგა და დაუპატიჟებელ სტუმრებს ალმაცერად გადმოხედა.

— ალაზანზე წაგვიყვანე,—სთხოვა ლევანმა.

— თქვენთვისა მცხელა სწორედ!—უგულოდ უპასუხა ძია დათამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ქვიშა გვჭირდება,—აუხსნა ზურიკომ.

— რა ქვიშა, რის ქვიშა! — გაბრაზდა ძია დათა.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე გულახდილად უთხრეს რატომ სჭირდებოდათ ქვიშა.

ძია დათა ჩაფიქრდა:

— მერე, ვინ დაგიტვირთავთ მანქანას?

— ჩვენ დატვირთავთ! — თავი გამოიდეს ბიჭებმა.

— ვნახოთ, ერთი, რისი მარიფათი გაქვთ!— თქვა ძია დათამ.

მაშინვე სამივენი ავტომობილში ჩასხდნენ, მანქანის კარი მიიჯახუნეს და წავიდნენ.

ძია დათამ ალაზნის პირას მანქანა აკოკოლავებულ ქვიშას მიაყენა, თვითონ მოშორებით დადგა და ნიჩბიან ბიჭებს დამცინავად გადახედა.

ზურიკომ და ლევანმა ნიჩბები მოიმარჯვეს, მაგრამ ვაი ამ მომარჯვებას: ცოდვილობენ, ნიჩბით ქვიშას იღებენ და, რასაც იღებენ, ვიდრე ძარაზე აჰყრიან, თავზე ეყრებათ.

— მოიცათ, მოიცათ, შვილოსა, — თქვა ბოლოს ძია დათამ, — თქვენ რომ გიყუროთ, მაგ მანქანის ავსებას ვერ ვეღირსები. ახლა გაიქეცით და ალაზანზე გაგრილდით, იცოდეთ, წყალში ღრმად არ შეხვიდეთ.

ძია დათამ დინჯად აიღო ნიჩაბი და შეუდგა საქმეს, ბარაქიანად ავსებდა ნიჩბის პირს ქვიშით, გახურდა. დროდადრო ცალი თვალით წყალში მოჭყუმპლავე ბიჭებისკენაც იყურებოდა, მე კი გავაფრთხილე, მაგრამ რა ვიცი, მაგათი რა დაიჯერება, ემანდ, რომელიმე წყალში ღრმად არ შევიდესო.

მეორე დღეს სახტად დარჩენილი ნიკა პაპა თავის სახლთან დაყრილ ერთ მანქანა ქვიშის გროვას გაკვირვებით დაჰყურებდა.

ნახატი **დარეჯან ჭილაშვილისა**

თემო, მზია, მზე და ნაჯა

გივი ჭიჭინაძე

ციცქნა თემომ
სე დახატა
და ხის ზეძოთ
მზე დახატა.
უმცროსი და
შეეხუეწა:
— ჩვენც დაგვხატე,
მე და ნატა.—
ადგა თემო
და იმ ნახატს
ორი გოგოც
მიუმატა.
ახლა ერთად იცინიან:
თემო, მზია, მზე და ნატა.

მაყვალა მრევლიშვილი

მაყვალა მრევლიშვილის სახელი თბილი და საყვარელია ყველა ბავშვისათვის. მის ლექსებს ხომ თვალისდახამხამებაში სწავლობენ სულ ახალგაზრდა მკითხველები. აბა, ვის გაუჭირდება ამ მძივივით ასხმული, მარტივი და გულშიჩამწვდომი სტრიქონების დამახსოვრება:

ჩიტო, ჩიტოჟ, ნაცარაჟ,
ვის უგალობ, ვისა?—
შენ გიგალობ, ბატარაჟ,
დილა ქშვიდობისა!

მაყვალა მრევლიშვილის ლექსებზე დაწერილი სიმღერებსაც, რომლებიც კომპოზიტორმა მერი დავითაშვილმა შექმნა, ლეგის იავნანასთან ერთად ითვისებენ პატარები.

ჯუჯა-ჯუჯა,
წუალი მალე,
თავი შკვე
დავიბანე!

ან კიდევ: „საწყალი კურდღელი“, „ძილი ნებისა“, „მატარებლობანა“, „ვარჯიში“ და მრავალი სხვა.

მაყვალა მრევლიშვილის პირველმა საბავშვო ლექსებმა დიდი ხნის წინ აიღგეს ფეხი საყმაწვილო ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. მას შემდეგ გულისფეთქვასავით შეუწყვეტლად ისმის სულ ახალ-ახალი, ერთმანეთზე უკეთესი, სიხარულის მომტანი, მზის სხივით გამობარი მისი სტრიქონები. მაგრამ ახალთან ერთად არავინ არ ივიწყებს ძველსაც. ქალბატონი მაყვალას ყველა ლექსი—ძველიცა და ახალიც ერთნაირად მახლობელია, ერთნაირი სულის მალამოა ბავშვებისთვისაც და მათი მშობლებისთვისაც.

მაყვალა მრევლიშვილი ათეული წლების მანძილზე ჟურნალ „ლილას“ მთავარი რედაქტორის მოადგილე გახლდათ. იგი მხატვარ შალვა ცხადაძესთან ერთად მონდომებით, დიდი გემოვნებით ქმნიდა საყმაწვილო ჟურნალს. ქალბატონი მაყვალა მუდამ ახლის ძიებაში იყო და ვინც კი მის გარშემო ვტრიალებდით, ვსწავლობდით მაყვალასეულ ხასიათის სიმტკიცეს, საქმისადმი თავდადებას, საკუთარი თავისადმი მომთხოვნელობას და ადამიანის დიდ სიყვარულს.

წელს მაყვალა მრევლიშვილს დაბადებიდან 70 წელი შესრულდა. მის ენერგიას, მის ხასიათს, მისი ლექსების სიხასხასეს ასეთი ასაკი ოდნავადაც არ ეტყობა.

ვუსურვებთ ჩვენს საყვარელ პოეტს, რუსთაველის პრემიის დაუფარატს, ჩვენი შვილების დიდ მოამაგეს — მაყვალა მრევლიშვილს დიდხანს სიცოცხლეს და ჯამრთელობას! კვლავ მრავალი ახალი ლექსით, ახალი წიგნებით გაეხარებინოს ჩვენი ნორჩების გული.

ლეილა ერაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი წარმომავლობა

რევაზ ინანიშვილი

ნახატი ვაჟა გელაშვილისა

ჩვენი ძველი სახლი ივრის ხეობას გადაჰ-ყურებს.

წინ პატარა ბაღი გვაქვს, ხეხილნარი, მერე ფერდობია, ფერდობის ძირში წისქვილის არხი გადის, არხის იქით ჭალის ვენახებია, მერე— თვითონ ჭალა, მერე—რიყე და რიყეში — ცისფერი ყაჭივით წაღებული იორი.

ფერდობში ახლა კომშები, ქლიავები, ალუბლები და პატარა კაკლები დგას, ადრე კი, ჩემს ბავშვობაში, თელები, მუხები, ხეშავები, და ბებერი წნორები იდგა. წნორები არხის ნაპირას იყო გაყოლიებული, იმათი ტოტები მეორე ნაპირზე გადადიოდა. არხი დიდი იყო, წმინდა წყლით გალიცლიცებული, წყალი ტანად კაცს საცვლის უბემდე სწვდებოდა. ზაფხულობით, ცხელ დღეებში, ბანაობდნენ არამარტო ბავშვები, დიდებიც—კაცებიც და ქალებიც. ქალები საღამო ხანზე შებინდებულში, თანაც ტანსაცმლიანები, ხმაურით—წყლის დგაფუნით და შეკივლებებით. ბანაობის შემდეგ შემცოდეებივით სახემორიდებულნი გარბოდნენ თავთავიანთი სახლებისაკენ. წნორების ფესვებში ცხოვრობდნენ წყლის ვირთაგვები, შავად მოლივლივენი, ბრჭყვიალა დაცეცებულთვალებიანები. რამდენჯერმე მინახავს წავიც — დიდი თეთრი თევზით პირში. ახლაც სიამოვნების ურუანტელს მგვრის არხის დაჩრდილული ნაპირებისა და ფეხისგულებზე სილიანი ფსკერის შეხების გახსენება.

შემოდგომაზე, ყვითელ ოქტომბერში, ამოიტანდა ბებია ვედროებით არხის წყალს და მეტყოდა,—უკვე ფოთოლი მოდის, თევზი ზღვისკენ დაიძრა, ამალამ კოკოზა ჩაუგეო. მე—პატარა, გამხდარი, დიდთავა ბიჭს—სიხარულის ჩოჩქოლი შემიდგებოდა. მზის ჩასვლისას დერეფნის ბუხარში დანთებულ ცეცხლზე გავხუხავდი ნალის ოდენა ხმელ პურს. ჩავიტანდი კოკოზას არხთან, ჩავაწყობდი შიგ, სიმძიმისათვის, ქვებს, დავუგმანავდი ბალახის ბღუჯით ბოლოს, გავუხლართავდი წნელსაც, გახუხულ პურს კოკოზის საძრომში ხელშეყოფილი ჩამოვკიდებდი ჩანგალივით დაკიდებულ მავთულზე, კარგად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩავიდოდა მზე, ერთს ვიტყოდი, — ღმერთო და ბედო!—კოკოზას ფრთხილად ჩავუშვებდი წნორის ფესვებთან, დამდორებულ წყალში (პირთავქვე, მეურავი რომ არ შეუსულიყო შიგ) და ორი წნელით მივაბამდი ფესვებზე.

სანამ ავდგებოდი, ერთხელაც ვიტყოდი,— ღმერთო და ბედო!—გადმოვიდოდი ცოტა უკან, ამოვეფარებოდი ბუჩქებს და ვიყავი იქ სულგანაბული შებინდებამდე,—კოკოზას ვყარაულობდი, ვინმეს რომ არ ამოეღო,—შებინდდებოდა და პატარა, ბავშვურ შიშზე გამარჯვებული, აღმართზე ამოქაქანებული ამოვიდოდი შინ.

ღმერთო, თან რა საამაყო იყო ის შიშიც!

მოდიოდა, მოლივლივებდა ერთი შეხედვით მორჩილი, ოვინიერი წყალი. ციმციმით მოჰქონდა ყვითელი ფოთლები და პატარ-პატარა თეთრი ბუშტები, მაგრამ იმ ბუშტებიდან ფსკერამდე წყალი სავსე იყო იდუმალი მოძრაობებით,—ჩემკენ შემობრუნებულნი ჩერდებოდნენ მდუმარე, დაფიქრებული თევზები, ჩალის გრძელ ღეროებს ქვემოთ ეწეოდნენ ჩრდილებივით დაგრძელებული რაღაც ტანრბილი არსებები (სინამდვილეში—ხავსები), ჭრაქუნობდა, თითქოს პირის გახსნას ლამობდა მიწა, ბუჩქნარებში კი ჩემსავით გატვრენილები ისხდნენ თავგლეჯილები...

ადრე დავწვებოდი, მაგრამ გვიანობამდე ვერ დავიძინებდი, ლოგინში უფრო მაკრთობდა იმ ჩაბინდული წყლისა და მისი ნაპირების წარმოდგენა. თანაც იყო სიხარულის შუქიც. ამ შუქში ვეწეოდი კოკოზას და გაჰქონდათ გულგასახარი ფათქაფუთქი თევზებს. როდის-როდის ჩამეძინებოდა და თითქოს სულ მალე მხარზე ხელს დამადებდა ბებიაც.

— ადექი, გათენდა, ამოიღე ის შენი კოკოზაო.

მართლაც გათენებული იყო ხოლმე. წამოვხტებოდი, ფათიფუთით ჩავიცვამდი, ჩავირბენდი თრთვილითა და მკვრივი ცივი ჰაერით გამოვსებულ ფერდობს, ჩავიჩოქებდი წნორის ფესვებთან, კიდევ ერთხელ ვიტყოდი, — ღმერთო და ბედო!—ხელებაკანკალებული ავხსნიდი წნელებს, ამოვწევდი, პირს ამოვუჩენდი კოკოზას, და თუ ფართხალი და ფეფუნი შემომესმებოდა, გადმოვვარდებოდი უკან, გადმოვიყოლებდი კოკოზასაც—სწრაფად გამოვაცილებდი წყალს.

ულამაზესი სურათი ბავშვთათვის — ქვებზე მოხტუნავე ფრთებგაშლილი თევზები!

იყო შემთხვევები, რომ ჩემი წყრთის სიგრძე ჭანრები და მურწები დამიჭერია, ზოგჯერ ოთხი-ხუთი ერთად.

არა მგონია, რომელიმე სარდალს ეამაყოს ბრძოლის მოგებით ისე, როგორც მე მეამაყებოდა იმ ოთხი-ხუთი თევზის შინ მიტანა.

სუნთქვაშეკრული, ბედნიერებისგან სახეგაბრწყინებული დავუდგამდი ბებიას კოკოზას წინ. ბებია ჩაიხედავდა შიგ, რაღაც უბრალოდ, კეთილად გაეღიმებოდა,—ეს დიმილი მერჩივნა ყოველგვარ შექებას, — ამოიყვანე და გამოწელეო,— მეტყოდა და თვითონ თავის საქმეს მიუბრუნდებოდა, მთლად შავად შემოსილი, კვამლივით უხმაუროდ მოძრავი, ტრიალებდა ცეცხლთან, შედიოდა მარანში, გამოდიოდა, გამოჰქონდა ან შეჰქონდა სხვადასხვა რაღაცები, ტუჩების ცმაცუნის, ხმელი თითების ერთმანეთზე მიდებით და მერე გაქნევით აპკურებდა ცივ წყალს ცეცხლიდან ის-ისაა გადმოდგმულ მოხარშულ თევზს, და მეჩვენებოდა, რომ ბებია გრძნეული ძალის ქალი იყო, კეთილი გრძნეული ძალისა,—ის განაგებდა ყველაფერს (ჩვენს ოჯახში კაცები აღარ იყვნენ), განაგებდა ცეცხლის პარპაშს, ხეებიდან ფოთლების ჩამოცვენას, ამინდის ცვალებადობას, ბალახების ამოსვლას...

დაიქექებდა, ჩამოტყდებოდა ციდან მეხი, მე აკანკალებული მივეკვრებოდი ბებიას, ის მეტყოდა,—ნუ გეშინია, შენ ოთხივ კუთხივ ჯვარი გწერია,—და აღარ მეშინოდა.

ერთხელ, ჭალის ვენახში მიმავალნი, ის წინ მიდიოდა, მე უკან,—უცებ შეჩერდა და, თითქოს ურჩ პატარა ბავშვს უწყრებაო, დაიძახა:

— ადექი, წადი აქედან! რას დაწოლილხარ ზედ შუა ბილიკზე!

მივახლოვდი და დავინახე, რომ მძიმედ, თითქმის ნებივრად შეთრია ვეება რუხმა გველმა მაღალ ბალახებში კუდი...

მე იმ კეთილი გრძნეული ქალის საგანმგებლოდან ვარ. მისი ნებით ათრთოლებული ფოთლებიდან და ბალახებიდან მოვედი თქვენთან. უმჯობესია, ხელი არ მახლოთ და არ გამისინჯოთ უბე.

ლექსი **მუხრან მაჭავარიანისა**
მუსიკა **გივი ჩარგაძისა**

ა ცი ვ ღ ა

ა ცი ვ ღ ა,
შ კ ვ ი ა ცი ვ ღ ა
და შ კ ვ ი ჩ ვ ე ნ თ ვ ი ს ა რ ს ც ხ ვ ლ ა
ა რ ც მ ე რ ც ხ ა ლ ს —
კ უ ლ მ ა კ ვ რ ა ტ ე ლ ა ს,
ა რ ც ო ფ ო ფ ს —
თ ა ვ ს ა ვ ა რ ც ხ ვ ლ ა ს.

მ ზ ე ღ რ უ ბ ლ ი ს მ ო ნ ა ვ ა ა მ ხ ვ ა რ ა, —
ა ნ ა თ ე ბ ს,
ყ ვ ე ლ ა რ ც ა ნ ა თ ე ბ ს...
ს ა ც ა ა მ ო ვ ა ზ ა ვ ი თ ა რ ი,
მ ო ვ ა დ ა
მ ო ი ე ბ ლ ა ო ე ბ ს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჭელიძე

ᲨᲣᲨᲘᲡ ᲑᲘᲭᲘ

IV

მხრებს ფრთებივით გაშლის
და არც დაფიქრდება,
შუშის ბიჭი ცაში
სწრაფად აფრინდება...
გადუქროლებს ჭალებს,
მთებს, ტბებს, ტყეებს, მინდვრებს.
არ ჩანს გამქვირვალე,
არც არავინ მისდევს...
იცის შუშის ბიჭმა,
ხვდება შუშის ბიჭი,
მას რამ მიანიჭა
ცაში ფრენის ნიჭი.
ფრთოსნად როგორ იქცა,
როგორ შეიცვალა?..
ბალღს ოცნებამ მისცა
ლაღად ფრენის ძალა.
შორს გაფრენა უნდა,
თან სწადია მიხოს—
სამშობლოს ცა მუდამ
მასთან ახლოს იყოს.
და, ჰა, ათინათის
ზღრაპრულ ელვარებით
აქთქათდნენ ქართლის
თეთრი მწვერვალებიც.
შუშის ბიჭი შავ ზღვას
და მთებს როცა გასცდა,
დაეუფლა რაღაც
უსიამო განცდა.
ბიჭს, თითივით მარტოს,
ფიქრი დაეობლებს,
თითქოს ვეღარადროს
ვეღარ ნახავს მშობლებს.
მიჰქრის შუშის ბავშვი
და შორს მოკრიალე
მოჩანს დედის თვალში
ცრემლის ოკეანე.
— არა, სინანული
რას მიქვია, როცა
ფრენის სიყვარული,
მე დედამამ მომცა!—
თქვა და შესძლო ბალღმა
გაქარწყლება ფიქრის,
ახლა იგი მაღლა—
მთვარისაკენ მიჰქრის.
მაშინ მიხო კვეხნად
გადაიქცა ცაში:
— პირველი ვარ ქვეყნად
კოსმონავტი ბავშვი!—
თავის ქება ურცხვად
როცა წამოსცდება,
შუშის ბიჭი უცბად
ძლიერ გაოცდება.
ვინც თავისთავს წელან
უწოდებდა პირველს, —
ცაში წააწყდება
რაღაც უცხო ფრინველს...
ჯერ გედს შეადარა,
მერე—ფრთამალ არწივს,
მაგრამ არა, არა,
არც ეს არის, არც ის...

V

იმ უცნაურ ფრინველს,
მართლაც გასაკვირველს,
მოაქროლებს ცალკე
ცის კრიალა სარკე,
ხან გულალმა წვება,
ხან—მოცურავს პირქვე,
უცებ, საოცრება
ბავშვთან ჩნდება იქვე.
მას გარშემო უვლის,
კრთება გული ბიჭის,
კითხავს უცხო სული:
— ფრენა ხომ არ გიჭირს?..
ძილში შემომესმა,
როგორ ტრაბახობდი,
მე მეგონა ზეცას
თავზე დამამხობდი.
ხა-ხა-ხა-ხა-ხა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყერები გყავს თავში?
შენ პირველი მყავხარ
კოსმონავტი ბავშვი?
არ ვარ, ხა-ხა-ხა-ხა,
არწივი დ• გედი,
რომ არ გეტრაბახა,
ვერც კი მოგაგნებდი.
გეძებ ალმა-დალმა,
ც• შევაწრიალე,
შორით •ლარ ჩანხარ
ასე გამჭვირვალე.
რად იკვეხნი აგრე?
რაც •შენე, რად შლი?
შენზე ბევრად ადრე
ვფრინავ, კარგო, ცაში.
ვფრინავ ფრთების გაშლით,
როგორც ყველა ბავშვი,
ვით საკუთარ სახლში,
არ მჭირდება საშვი.
არც საბუთი მინდ•,
არც რაიმე ცნობა,
შენგან მინდა წმინდა
ძმური თანაგრძნობა.—
უცხო სული ბოლოს
მიხოს კითხავს დინჯად:
— როდის, ანდა როგორ
იქეც შუშის ბიჭად?
არ გეწყინოს, თუ რამ
მკვახე სიტყვა გკადრე,
ლურჯ ლაჟვარდში ვცურავ
შენზე ბევრად ადრე.—
მიხო, როგორც მუნჯი,
ისმენს ამდენ ლაქლაქს,
ენის დაძვრა უჭირს,
რა ქნას, ანდა რა თქვას?..
უცხო ბიჭი ურჩი
თვალს არიდებს კუშტად,
თითქოს ფიცხელ ჩხუბში
შეკუმშულა მუშტად.
— ხმას რომ არ მცემ, ვეტყვი
ჩვენი ეზოს ძაღლებს.
ახლოს მოდი—მეთქი!—
უცხო სული ბრძანებს,
— რად შეგიკრავს შუბლი?
ვინც ვარ, ახლოს მნახე!—
მიხოს უცებ შუქით
გაებადრა სახე.
და მოეშვა გულზე
უმძიმესი ლოდი.
— რა სასწაულს ვუმზერ...
სულ არ მოველოდი!—
ისე გაიკვირვა,
დააფჩინა ხახა,
თითქოს ჩვენმა გმირმა
ცაში ღმერთი ნახა...
განეფანტა იქვე,
შიშიც ალარ აკრთობს,
ცაში შუშის ბიჭი
იცნობს ყურშას პატრონს.
ის ვინც მიხოს უშლის
გავლას თავის ძაღლთან,
ვინც დასწყევლა გუშინ,
ახლა გვერდით ახლდა.
გააოცა ბავშვი
მოვლინებამ მისმა,
ვისმა დოგმაც წყალში
დახრჩობისგან იხსნა.
ბიჭს გაუწყრა გოგო:
— რად გაოცდი? რატომ?
აბა, ცაში როგორ
დაგტოვებდი მარტო!
მზრუნველობა შენზე
მიზნად დავისახე,
დღეის ამის შემდეგ
მზია დამიძახე.
ჩემი ნატვრა მხოლოდ
მეგობრობის მზეა,
განა თიხის გოგო,
მზია მქვია, მზია!
და ერთსაც გთხოვ ბოლოს,
მაპატიე წყევლა.—
თქვა და თიხის გოგოს
თვალნი დაეცრემლა.

ნახატები: თამაზ ხუციშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაქრო სამადაშვილი

ქეთინო

ქეთინომ უცნაური შეკითხვების მოცემა იცის:

— მამალს რატომ უყვარს ფიჩხის კონებზე ასვლა და იქიდან ყივილი?

— ცხენი რატომ ხვიხვინებს?

— რა არის ავი?

— ძალიან რთულ შეკითხვებს იძლევი, შე კუდრაჭავ, — ვეუბნები ქეთინოს.

— რა არის რთული?

დიდი ეშმაკი ვინმეა ეს ჩვენი პატარა გოგო, რომ იცოდეთ, რამდენს გვაცინებს, როცა გოჭს—ჭყივილს, ქათამს—კაკანს, ხბოს—ბღავილს, ძაღლს—ყეფას აჯავრებს.

— ქეთინო, კაკლის ძირში წალდია, მომიტანე!

— ქეთინო, ცხენთან ახლო არ მიხვიდე, საშიშია!

— ქეთინო! — და, მთელ დღეს ისმის ეს სახელი ჩვენს ეზოში, მთელს ჩვენს უბანში.

ხშირად ვუკითხავ ლექსებს, მოთხრობებს, ვუყვები ზღაპრებს, ვაცნობ ქართულ ასოებს.

— სკოლაში რომ ვივლი, სულ ხუთებზე ვისწავლი, — მპირდება ქეთინო.

მე მეზობლის ბიჭს—ზვიადს ვეკითხები: — შენ რას იტყვი, შეასრულებს ქეთინო დანაპირებს?

— შეასრულებს.

— შენს პირს შაქარი, შენს პირს შაქარი!

პატარა გოგო

ივანე ქართველიშვილი

პატარა გოგო წყაროზე
გარბოდა ცქრიალ-ცქრიალით,
პირიმზე ლურჯკაბიანი
მიაცილებდა შრიალით,
თავზე ეხურა გვირგვინი,
ამკობდა ფოთლის ტრიალი,
დეკის ქამარი ემოსა,
შვენოდა კისკის-წკრიალი.
მიაცილებდა პიუხი
ვერცხლის ჩანჩქერის გრიალით.

ნახატი დარეჯან ჭილაშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კუკური გოგიაშვილი

ირმა და ნაბია

აგარაკზე ეზოში,
ირმამ ნახა ნაბია,
მიმალულა ბუჩქებში,
თვალი მიუნაბია.
ხელი სტაცა ირმამ და
შიშით შეხტა კურდღელი,
ეს რა დღეში ჩავარდა—
ბუდეოელე და ეურგრძელი.
ირმა გოგომ მიართვა
საკანატენო, საკბილო:

ქორფა კიტრის ნაფცქვენი,
კომბოსტო და სტაფილო.
შეეწვიენენ, შეეწვენენ,
დამეგობრდნენ ძალიან,
თუ ერთ-ერთი ვერ ნახეს,
მოწყენილი არიან.
ახლაც ნაბი გზაზეა,
ირმა შვილის წაბლიანს,
ნაბი ეძებს ირმას
ირმა ეძებს ნაბიას.

ნახატი ვაჟა გელაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

209
4180

გონდო მუმლაძე

ღ ი ღ ი

— გამარჯობა, ლილი,
— გაგიმარჯოს, მზია.
— გუშინ ლურჯი ღილი
ხომ არ დაგკარგვია?
— ამწყვეტია დილით,
ვეღარ მიპოვია.
— აი, შენი ღილი...
— გმადლობ, ჩემო მზია.

ირინე უშვერიძე

ნეჯავ კითხვა შემეძლოს

უამრავი წიგნი მაქვს,
წიგნი—ცოდნის ლამპარი,
სულ დედიკო მიკითხავს
ლექსია თუ ზღაპარი.
მიყვარს „ნაცარქექია“,
„სალამურა“, „წიქარა“,
ნეტავ კითხვა შემეძლოს,
მეტი არა მინდა რა.

ნახატები ედუარდ ამგოკაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასოები

ჯემალ ინჯია

ჰაუ, ქორო!

ჰაუ, ჰაუ, ჰაუ, ქორო!
ტყის ახლოს არ ჩაიქროლო,
ტყეში ჩიტის ბარტყებია,
შენს ნახვაზე დაფრთხებიან!

გვანცა

გახდა სანაქებო ბავშვი
ზურიკელას დაი გვანცა,
როცა დაჰკრა ბებომ ტაში,
გვანცა ქაღი დაიკვანწა.

ზუმრუდ გოდერძიშვილი

ქურდი მურა

მოდი, ნახე, ბიჭო ზურა,
გაგიჯოხეს შენი მურა,
იცი, რატომ? თურმე გუშინ
მოუპარავს ფელამუში.

თავსატეხი

	ი	ხ	ვ	ი
		ო	ბ	ი
	ვ	ე	ლ	ი
		ა	ლ	ი
		ა	ნ	ა
		ო	ბ	ი
			ი	ა
		ა	ბ	ი
შ	ვ	ი	დ	ი

შეავსეთ ცარიელი უჯრედები იმ ასოებით, რითაც მიიღებთ სხვა სიტყვებს.

შამშე აბაშიძე

ფხორია ინდაური

ფრთებით ფარცხავს ეზოებს,
ინდაური ფხორია,
დაუშვია ხორთუმი,
თავი სპილო ჰგონია.





ეროვნული ბიბლიოთეკა

b 257/170

ეროვნული ბიბლიოთეკა
76055

ნახატი **მიხეილ სოლოვიოვისა**

მიუჩინე ყველას თავ-თავისი ადგილი და გაუფერადე ბინა.

მთავარი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია: ანზორ აბულაძეები (პ/მგ. მდივანი), ედუარდ ამბოკაძე, კუკური გოგიაშვილი, ლეილა ერაძე, მაყვალა ონიანელიშვილი, ჯიმშერ მუჯირი, ბეთრაბი ოთინიშვილი (სამხ. რედაქტორი), იოსრავ ქემერტელიძე, რობერტ ლარიბაშვილი, გივი ძველაძე.

სპ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

Издательство ЦК КП Грузии

სპ. ალკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყურნალი.
ყდაზე ნახატი **თამაზ ხუციშვილისა**
გამოცემის 52-ე წელი.

ტექრედაქტორი **ენდი ფარეთელი**

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. **რედაქტორის** — 93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამდივნისი — 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 17/VIII-79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/X-79 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8 ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 158.000. შეკვ. № 2170 „Дида“ № 11. на грузинском языке. ფასი 20 კაპ.